
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხელოვნებათმცოდნე: მ. [signature] /მედეა გიორგიძე/

ქ. თბილისი
2004 წ.

პროექტით წარმოდგენილი ობიექტი დგას მეტეხის პლატოზე, ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში.

ამდენად, პროექტის შესრულებისას, მის ერთ-ერთ შემადგენელ სამუშაო ნაწილს წარმოადგენს –

საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა.

როგორც ცნობილია, დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ნამოსახლართა კვალის უამრავი ადგილი (ორმაღელე, საბურთალო, ნავთლუღი, დიდუბე, ნარიყალა, თვით მეტეხის პლატო და სხვ). მათგან უძველესი – ენეოლითის ხანას, ძვ. წ. ა. **III** ათასწ. დასაწყისს მიეკუთვნება.

რაც შეეხება თბილისის, როგორც ქალაქად ჩამოყალიბების დაწყებას მკვლევარნი მეტეხის პლატოსა და მოპირდაპირედ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სოლოლაკისა და თაბორის მთით შემოსაზღვრულ მიდამოებში მიმოიხილავენ.

მიზეზად ამ კონკრეტული ადგილის დასახელებისას, სხვადასხვა ისტორიულ გარდუვალ გარემოებათა გარდა, მნიშვნელოვან როლს აკუთვნებენ რელიეფს, რომელიც აქ ბუნებრივი ზღუდეების როლს თამაშობს. ამას ემატება, მეტეხის კონცხთან ხეობის შევიწროება და აქვე, მტკვარზე ხიდის გადების შესაძლებლობაც.

აქვე გოგირდოვანი, თერმული წყლების არსებობამ კი ქალაქის სახელწოდებაც განაპირობა.

VI ს-ის დასაწყისიდან, როდესაც მცხეთა, თავის ადრინდელ მნიშვნელობას კარგავს და იგი ადგილს თბილისს უთმობს, აქედან მოყოლებული თბილისი ქართლის დედაქალაქად ითვლება.

ვახტანგ გორგასალის ძემ – დაჩიმ „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახელად სამეფოდ“.

ამ დროისთვის თბილისს აქვს უკვე თავისი ციტადელი – კალა. იხსენიება საეპისკოპოსო ტაძარიც.

VI–VII სს-ში თბილისი ძირითადად შედგებოდა კერძოდ თბილისისა და კალისაგან. ორივე შემოზღუდული იყო ციხის კედლებით.

მოპირდაპირე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, თბილისის ქალაქად გადაქცევის პირველი ხანებიდანვე უკვე იყო დასახლებულიდ მაგრამ ქალაქში არ იყო ფორმირებული და ქალაქგარეთს წარმოადგენდა. ეს სტატუსი აღნიშნულ ადგილს გასდევს, ვიდრე **XI** საუკუნემდე.

თბილისი იმდენად ძლიერ, გამაგრებულ ქალაქს წარმოადგენს (**VII** ს), რომ როცა ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ თბილისი დაიპყრო „ციხესა კალასასა დარჩეს კაცნი“ და არ დაემორჩილნენ დამპყრობთ.

VIII ს-ის თბილისის ძირითადი პუნქტებია ქალაქის დომინანტი – კალა ციტადელით, რომელიც თავს დაჰყურებს მთელ თბილისს. მთის ფერდზე მტკვრის ნაპირიდან მოყოლებული, შეფენილია საცხოვრებელი სახლები. არაბთა „მეფისნაცვლის“ სასახლეც ციტადელის მახლობლად,

მთის კალთაზეგეა. ქალაქის მთავარი ნაწილი გაკეზეც, მდინარის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით ვითარდება.

ამ პერიოდში მეტეხის პლატოზე, ახლანდელი მეტეხის ადგილზე სასაფლაოს მოიხსენიებენ, სავარაუდოდ – „სადილეგოსაც“.

აღნიშნული ადგილის მნიშვნელობა XI საუკუნიდან იზრდება და ამდენად, მისი გამაგრების აუცილებლობის საკითხიც ჩნდება. ამ დროს იქმნება უბნის ახალი სახელწოდება ისანი (არაბულად – ციხე).

ქალაქი უცხო ტომთა მრავალგზის შემოსევას და დარბევას განიცდის. თბილისის ურჩი ამირას დასასჯელად არაბთა ცენტრალური ხელისუფლება, 853 წელს ბუღა თურქის სარდლობით ქალაქს ლაშქრავს „შემუსრა ტფილისი, დაწვა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი“.

ამის შემდეგ, X ს-ის სომეხი და არაბი ავტორები თბილისს „დიდებულ დედაქალაქად“, „განსაცვიფრებლად ნაგებად“, „ნაყოფითა და ნათესებით ფრიად მდიდარ, აყვავებულ ქალაქად“ იხსენიებენ. მოხსენიებულია აგრეთვე კედლები, რომლებიც ქალაქს გარს ერტყა, ბუნებრივ ცხელ წყაროებზე გამართული აბანოები, წისქვილები მდინარე მტკვარზე და სხვ.

XI საუკუნიდან დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს ფეოდალურად გათიშული ნაწილების შემოერთებისა. საფუძველი ეყრება ერთიან ძლიერ სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის გათავისუფლებისათვის მებრძოლ მეფეს – ბაგრატ IV ისნი (ისანი) არ დაემორჩილა „ისნელთ ჩააგდეს ხიდი და არ მისცეს ისნი“.

ამ დროისთვის ისანს საკუთარი ციხე აქვს და იგი ქალაქის ერთ-ერთ გარშემორტყმულ უბანს წარმოადგენს.

ისნის ამ მნიშვნელოვანი მოხსენიების შემდეგ (XI ს) იწყება მეტეხის პლატოს განაშენიანების ისტორიაც ქალაქის ფარგლებში:

„ძველი თბილისის ბირთვს მეტად მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული კომპონენტი ემატება: ... წერილობითი ცნობებით დასტურდება, რომ გიორგი III დროს უკვე არსებობდა საქართველოს მეფეთა სასახლე, აწინდელი მეტეხის ადგილას. თამარის დროს კი იხსენიება მეტეხის ეკლესიაც, რომელიც მონღოლთა შემოსევების დროს დაიღუპა და XIII ს-ის ბოლოს ამჟამად არსებულმა ეკლესიამ შეცვალა“.

„XII საუკუნეში უკვე არსებობს ძველი თბილისის სილუეტის ორი „დასაყრდენი“, ორი განმსაზღვრელი დომინანტი კალა და მეტეხი. ქალაქის უბნები მარცხენა ნაპირზე – ისანშიც შენდება“.

თბილისისთვის XII – XIII სს-ეები ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმავლობის პერიოდად ითვლება. ამ დროს ფეოდალური საქართველოს განვითარება ზენიტს აღწევს. თბილისი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ გამორჩეულ და კეთილმოწყობილ ქალაქს წარმოადგენს.

XIII ს-დან XVIII ს-ის დასასრულამდე თბილისმა დამპყრობთა რამდენიმე გამანადგურებელი შემოსევა განიცადა.

1795 წელს აღა-მახმად ხანმა, რომელიც სპარსელთა ჯარს შემოუძღვა, თბილისი ძირ-ფესვიანად გადაწვა.

XV – XVI სს-ში თბილისი უკვე აღარ არის გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი. გაუთავებელმა დარბევებმა ღრმა კვალი დაამჩნია მას.

ამ დროს იგი ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც გაცილებით მცირეა, ვიდრე XII საუკუნეში იყო.

მეტეხის პლატოს შემდგომი განაშენიანების ისტორიის წარმოსადეგად მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემორჩენილი გრაფიკული ნახატები და გეგმები.

საყურადღებოა, ძველი თბილისის არქიტექტურის მკვლევარის ვ. ცინცაძის მიხედვით, VIII – IX სს-ეების ისნის ციხე-გალავნის რეკონსტრუქციის პროექტი.

ავტორი ადგილზე მოძიებული მასალისა და წყაროთა ფაქტების მიხედვით აღადგენს გალავნის თავდაპირველ საზღვრებს და წარმოადგენს მის ხასიათს (გალავნის ორმაგ, დაკბილულ კედლებს). აღნიშნავს გალავნის სამ კარს. ერთი იყო – აღმოსავლეთით, პლატოს ნაპირთან – პატარა ჭიშკარი, მეორე – მეტეხის დიდ ხიდთან – მთელ ქალაქთან დამაკავშირებელი, მესამე – სავარაუდოდ კახეთის მოედანთან (ამჟამინდელი ავლაბრის მოედანთან) უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული VIII – IX სს-ების მეტეხის გალავნის რეკონსტრუქციის პროექტს ქრონოლოგიურად მოსდევს, ფრანგი მოგზაურის შარდენის მიერ 1673 წელს შესრულებული გრავიურა. აქ წარმოდგენილია ქალაქის ძველი უბნის ფონზე, ქალაქის მთავარი დომინანტი – მეტეხის გუმბათოვანი ტაძარი და მის ირგვლივ ბურჯებით გამაგრებული გალავანი, ხედით სამხრეთ-დასავლეთზე. დასავლეთიდან ციტადელს ამაგრებს მეორე წყება გალავნისა, რომელიც ფერდზე ეშვება. მთავარი კარით ხიდთან გამოდის და გაღმა ქალაქს უკავშირდება.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმა, ყველაზე უფრო მდიდარ და საყურადღებო მასალას გვაწვდის.

რაც შეეხება ისანს, იგი გალავანშემოვლებულია. ზუსტი გადაბმული კონტურით აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაც ერთვება მოპირდაპირე სანაპიროზე კალას ფერდებზე დაშვებულ გალავანს. ორივე ციხე ერთიან ციხე-გალავნის სტრუქტურას ქმნის. გადაიკვეთება მტკვრის ხაზით და საერთო ხასიათში ცალკე იკითხება.

XIX საუკუნის გაგარინის ნახატზე, ხედით დასავლეთზე, იკითხება პლატოს ფერდის გასწვრივ განაშენიანებისა და გალავნის სავარაუდო ფრაგმენტები, რომელიც მეტეხის კონცხთან სრულდება.

შეიძლება ითქვას, რომ ფასდაუდებელ დოკუმენტს წარმოადგენს XIX ს. 60-იანი წლების ერმაკოვისეული ფოტო. აქ ასახულია ძველი ქალაქის საკმაოდ დიდი დიაპაზონი. კომპოზიციის ღერძს წარმოადგენს ვერტიკალურ, კლდოვან ფერდზე აზიდული და მის გასწვრივ ბრტყელ ქედზე გადაჭიმული მეტეხის პლატო – განაშენიანებით. ჩვენს წინაა რუსეთის გუბერნიის ქალაქი. მეტეხის ეკლესიის ირგვლივ ციხის (ანუ სატუსაღოს) ახალი ნაგებობა დგას მაღალ გალავანში.

აღსანიშნავია ციხის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთით კლდის ნაპირზე აივნებით შემოსილი სართულებიანი სახლი. მის შემდეგ მცირე სივრცითი მონაკვეთი – გაურკვეველი ნაშთებით და აგრძელებს კლდის ნაპირზე

სართულებიანი სახლი. აღნიშნული მონაკვეთი ასახავს დღევანდელი რეკონსტრუირებული მონაკვეთის ძველ სახეს და იმ მონაკვეთს, სადაც ზის წარმოდგენილი საპროექტო რესტორნის სახლი.

რაც შეეხება 1905 წლის ფოტოს. აქ ფართო პლანით და სრული ხედით წარმოდგენილია მეტეხის პლატო ხედით აღმოსავლეთიდან. მეტეხის ეკლესია სატუსაღოს მასიური და უსახური სახლების მჭიდრო განაშენიანებაშია მოქცეული. აღმოსავლეთით კვლავ კლდის პირას აღმართული აივნებიანი სახლი დგას. (როგორც ერმაკოვის ფოტოზე იყო).

XX ს-ის 60-იან წლებში, ახალ საქალაქთმშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, მეტეხის ახალი ხიდის და მეტეხის ტაძართან მოედნის მოწყობამ მკვეთრად შეცვალა ქალაქის ამ ძველი ნაწილის არქიტექტურული სახე. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ კლდისპირა აივნიანი სახლების ხასიათი და მასშტაბი ფაქიზად არის შენარჩუნებული და სათანადოდ რეკონსტრუირებული.

პროექტი ეხება სასტუმრო „ძველი მეტეხის“ ღია რესტორნის გადახურვის საკითხს.

რესტორნის ერთსართულიანი ნაგებობა აღმოსავლეთიდან ებჯინება სასტუმროს, შიგნიდან კი შემინული კარით უშუალოდ უკავშირდება მას.

ეს შენობა 1990-იანი წლების ბოლოს აიგო, როგორც ღია რესტორანი მტკვრის მხარეს თაღებით გახსნილი კედლით.

დასახლებასთან შექმნილმა პრობლემამ (რესტორნიდან გამოსული ხმაურით წუხდებიან და ამის თაობაზე ჩივიან), ასევე თვით რესტორნის კომფორტულობის გაზრდის მოთხოვნამ, აღნიშნული წამოჭრილი საკითხის მოგვარების საჭიროება მოითხოვა.

შეიქმნა გადახურვის პროექტი. გადაიხურა რესტორნის ძირითადი სივრცე - დიდი დარბაზი, რომელიც ჭერიდან ნათდება. ასევე გადაიხურა დარბაზის წინ, სამხრეთიდან მოწყობილი შეკიდული ბაქანი. ტრაპეციის ფორმის განიერი ბაქანი სამივე მხრიდან შემინულია და გადაჰყურებს მტკვარს.

სახურავის ქანობების დახრა დაბალია. დარბაზის ცენტრში მისი ოპტიმალური სიმაღლეა - 1 მ 30 სმ.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან, (რესტორნის აღქმის ძირითადი წერტილიდან) აღქმისას ახალი გადახურვა მოცულობის ძველ კონტურს თითქმის არ ცვლის.

რესტორნის გვერდებზე აღმართულია კლდესთან შერწყმული სამსართულიანი, მტკვრისკენ აივნებით გახსნილი, ღია ფერის შენობები, მარცხნივ სასტუმრო „ძველი მეტეხი“, მარჯვნივ - საცხოვრებელი სახლი.

მათ შორის დაბალი, ერთსართულიანი რესტორანი, მუქი ხის ტონალობის ფაქტურით წარმოდგენილი, განაშენიანების აღნიშნულ მოკლე მონაკვეთზე ერთგვარ სივრცითი პერსპექტივის აქცენტს ქმნის.

და არავითარ შემთხვევაში არ ცვლის განაშენიანების ზოლის კონტურს.

ხელოვნებათმცოდნე - მედეა გიორგაძე

18.11.04

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

ვ. ცინცაძე, თბილისი, ძველი ქალაქის არქიტექტურა და საცხოვრებელი სახლები, თბ. 1958 წ. (რუსულ ენაზე).

ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801 – 1917 წლები, ტ. I, თბ. 1960 წ.

თ. კვირკველია, თბილისის არქიტექტურა, თბ. 1982 წ. (რუსულ ენაზე).

თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ. 1984 წ.




Таблица 10. Тбилиси. Гравюра приложенная к «Путешествию Шардена», 1673 г.

შარდენი, გრავიურა,1673 წ.



ვახუშტი, გეგმა, 1735 წ.



გაგარინი, ნახატი, IXX ს.



ერმაკოვი ფოტოხელი მეტეხის პლატოზე, IXX ს. - 60-იანი წლები



ფოტო, ხედი მეტეხზე, 1905 წ.


old metekhi
HOTEL RESTAURANT


HOTEL RESTAURANT
old metekhi